საკონტაქტო ინფორმაცია

არასამთავრობო ორგანიზაცია „ინოვაციებისა და რეფორმების ცენტრი“ (IRC)
(თუ შენ ხარ მოქალაქეობის არმქონე პირი)

ინოვაციებისა და რეფორმების ცენტრი არის UNHCR-ის პარტნიორი ორგანიზაცია, რომელიც უფასო სამართლებრივ დახმარებას უწევს უდოკუმენტო და მოქალაქეობის არმქონე პირებს საქართველოში.

- დ. გამრეკელის ქ. №2 (აქსის პალასის შენობა), მე-4 სართული, 0160, თბილისი, საქართველო
- (+995 32) 255 20 01/02
- (+995) 577 614 191; (+995) 577 614 199
- info@irc.ge
- www.irc.ge

იურიდიული დახმარების სამსახური (LAS)

იურიდიული დახმარების სამსახური არის იურიდიული დახმარების ძირითადი მიმწოდებელი საქართველოში. თქვენ შეგიძლიათ მიმართოთ იურიდიული დახმარების სამსახურს უფასო იურიდიული კონსულტაციისთვის, მიუხედავად თქვენი სტატუსისა საქართველოში.

- თამარ მეფის გამზ. №14, 0112, თბილისი, საქართველო
- (+995 32) 292 00 55
- info@legalaid.ge

სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო (PSDA)

სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო არის იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი ძირითადი სახელმწიფო ორგანო, რომელიც პასუხისმგებელია საქართველოში თქვენი სტატუსის შესახებ მოწმობების და დოკუმენტების გაცემაზე, მათ შორის მოქალაქეობის საკითხებზე განაცხადის განხილვაზე.

- სანაპიროს ქ.№2, 0105, თბილისი, საქართველო.
- (+995 32) 240 54 05
- ცხელი ხაზი: (+995 32) 240 10 10
- info@sda.gov.ge; info@psh.gov.ge
- www.psh.gov.ge

საქართველოს სახალხო დამცველი – ომბუდსმენი

საქართველოს სახალხო დამცველი
PUBLIC DEFENDER (OMBUDSMAN) OF GEORGIA

საქართველოს სახალხო დამცველი არის კონსტიტუციით დადგენილი ინსტიტუტი, რომელიც ზედამხედველობას უწევს საქართველოში ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას. თქვენ შეგიძლიათ მიმართოთ სახალხო დამცველს თუ თვლით, რომ საქართველოში თქვენი უფლებები სრულად არ არის დაცული.

- დავით აღმაშენებლის გამზ. №150, 0112, თბილისი, საქართველო.
- ცხელი ხაზი: 1481 (ფუნქციონირებს 24/7)
- info@ombudsmen.ge

ვორლდ ვიჟენ საქართველო

„ვორლდ ვიჟენ საქართველო“ არის UNHCR-ის პარტნიორი ორგანიზაცია, რომელიც მუშაობს თემის მობილიზაციის მიმართულებით და სოციალურ დახმარებას უწევს თავშესაფრის მაძიებლებს, ლტოლვილებსა და მოქალაქეობის არმქონე პირებს საქართველოში.

- ა. ცაგარელის ქ. №53, 0194, თბილისი, საქართველო.
- (+995) 577 045 645
- multiservicecentre.wv@gmail.com

გაეროს ლტოლვილთა საქმეთა უმაღლესი კომისრის (UNHCR) წარმომადგენლობა საქართველოში

UNHCR არის ძირითადი საერთაშორისო ორგანიზაცია საქართველოში, რომელიც აქტიურად მუშაობს სახელმწიფო დაწესებულებებთან თავშესაფრისა და მოქალაქეობის არმქონეობის საკითხებზე. თქვენ შეგიძლიათ მიმართოთ UNHCR-ს იურიდიული კონსულტაციისა და დახმარებისთვის.

- ალ. ყაზბეგის გამზ. №2, 0161, თბილისი, საქართველო.
- (+995 32) 238 62 02; (+995) 577 415 610
- geotbprt@unhcr.org
- მოქალაქეთა მიღების საათები: სამშაბათი და ხუთშაბათი, 9:30-დან - 17:00-მდე

საინფორმაციო ბროშურა მოქალაქეობის არმქონე პირთათვის

ვინ არის მოქალაქეობის არმქონე პირი?

მოქალაქეობის არმქონე პირი არის პირი, რომელსაც არცერთი სახელმწიფო არ მიიჩნევს თავის მოქალაქედ საკუთარი კანონმდებლობის თანახმად.

ვინ არის მოქალაქეობის არმქონე განმცხადებელი?

მოქალაქეობის არმქონე განმცხადებელი – არის პირი, რომლის მოქალაქეობრივი სტატუსი/კუთვნილება უცნობია და რომელსაც შეტანილი აქვს განცხადება მოქალაქეობის არმქონე პირის სტატუსის დადგენის თაობაზე პასუხისმგებელ სახელმწიფო უწყებაში - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოში.

რა სახის საიდენტიფიკაციო დოკუმენტი გაიცემა მოქალაქეობის არმქონე პირზე და მოქალაქეობის არმქონე პირის სტატუსის მაძიებელზე?

საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირი ფლობს მუდმივ ან დროებით ბინადრობის მოწმობას. ბინადრობის მოწმობის კატეგორია დამოკიდებულია საქართველოში პირის ცხოვრების ხანგრძლივობაზე.

სტატუსის დადგენის პროცედურის განმავლობაში სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო გასცემს განმცხადებელზე დროებით საიდენტიფიკაციო მოწმობას, რომელიც მოქმედია 1 წლის განმავლობაში. მოწმობა ავტომატურად კარგავს ძალას პირისთვის მოქალაქეობის არმქონე პირის სტატუსის დადგენის თაობაზე დადებითი ან უარყოფითი გადაწყვეტილების მიღების შემდეგ.

იმ შემთხვევაში თუ პირს დაუდგინდება მოქალაქეობის არმქონე პირის სტატუსი, მასზე გაიცემა დროებითი ბინადრობის მოწმობა, რომელიც მოქმედია 3 წლის განმავლობაში. შესაბამისად დოკუმენტი ექვემდებარება განახლებას ყოველ 3 წელიწადში ერთხელ.

გთხოვთ გაითვალისწინოთ: თქვენ ვერ შეძლებთ უფლებების რეალიზებას და სერვისებზე წვდომას საიდენტიფიკაციო დოკუმენტის გარეშე.

მოქალაქეობის არმქონე პირისთვის მინიჭებული უფლებები

სამოქალაქო სტატუსთან დაკავშირებული უფლებები

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, შენ, როგორც მოქალაქეობის არმქონე პირს გაქვს:

- სახელისა ან/და გვარის შეცვლის რეგისტრაციის უფლება (თუ შენი დაბადება რეგისტრირებულია საქართველოში)
- მამობის დადგენის უფლება
- შვილად აყვანის უფლება
- ქორწინებისა და განქორწინების უფლება
- შვილის დაბადების რეგისტრაციის უფლება

განათლების მიღების უფლება მოქალაქეობის არმქონე პირთათვის საქართველოში

✔ სკოლამდელი განათლება

თუ შენ გყავს შვილი (2-5 წლამდე) - მას აქვს უფლება იაროს საბავშვო ბაღში და მიიღოს სკოლამდელი განათლება. ამისათვის საჭიროა ბავშვს ჰქონდეს პირადი ნომერი.

✔ ზოგადი განათლება

თუ შენ ხარ/გყავს შვილი (6-18 წლამდე) - შენ გაქვს უფლება ისწავლო სკოლაში და ისარგებლო სახელმწიფო ვაუჩერით

✔ უმაღლესი განათლება

თუ შენ ხარ ზრდასრული (ასაკობრივი შეზღუდვის გარეშე) - შენ გაქვს უფლება ისწავლო ინსტიტუტში ან უნივერსიტეტში. საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები ხელმისაწვდომია მოქალაქეობის არმქონე პირისთვის, თუმცა მოქალაქეობის არმქონე პირებს არ აქვთ შესაძლებლობა ისარგებლონ უმაღლესი განათლების დაფინანსებით (სახელმწიფო გრანტი)

✔ პროფესიული განათლება

თუ შენ ხარ ზრდასრული (ასაკობრივი შეზღუდვის გარეშე) - შენ გაქვს უფლება მიიღო პროფესიული განათლება. პროფესიული განათლება ხელმისაწვდომია მოქალაქეობის არმქონე პირისთვის, თუმცა მოქალაქეობის არმქონე პირებს არ აქვთ შესაძლებლობა ისარგებლონ პროფესიული განათლების სახელმწიფო დაფინანსებით (სახელმწიფო გრანტი)

ჯანდაცვა და სოციალური მომსახურება მოქალაქეობის არმქონე პირთათვის საქართველოში

მოქალაქეობის არმქონე პირს უფლება აქვს:

- ისარგებლოს საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამებით, საქართველოს მოქალაქესთან გათანაბრებული პირობებით. მოქალაქეობის არმქონე პირმა უნდა მიმართოს ნებისმიერ სამედიცინო კლინიკას (პირველადი სამედიცინო დახმარების მიმწოდებელი დაწესებულაბა), სახელმწიფო ორგანოს მიერ გაცემული, მოქმედი საიდენტიფიკაციო დოკუმენტით. არსებული სერვისების შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის გთხოვთ დარეკოთ ცხელ ხაზზე: 1505 ან ეწვიოთ ვებ-გვერდს: **www.moh.gov.ge**
- მიიღოს სახელმწიფო პენსია (ქალმა - 60 წლიდან; მამაკაცმა - 65 წლიდან)
- მიიღოს ფულადი სოციალური დახმარება (საარსებო შემწეობა)
- ისარგებლოს ხანდაზმულთა პანსიონატში ჩარიცხვის უფლებით (ქალმა - 60 წლის ასაკიდან; მამაკაცმა - 65 წლის ასაკიდან)
- ისარგებლოს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა პანსიონატში ჩარიცხვის უფლებით (იმ შემთხვევაში თუ მას დადგენილი აქვს შშმ პირის სტატუსი)

საკუთრების უფლება

მოქალაქეობის არმქონე პირს უფლება აქვს შეიძინოს სახლი/ბინა და დაარეგისტრიროს მასზე საკუთრების უფლება!

საქართველოში მუდმივი/დროებითი სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირთათვის და მოქალაქეობის არმქონე პირის სტატუსის მაძიებელთათვის, საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული უფლებებით/შეღავათებით და საჯარო/კერძო სერვისებით სარგებლობის შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია ბმულზე:

http://unservicemap.srvlabs.net/ka-GE